შრომა

სურათებიანი დამატება

დამატების № 24. ხუთშაბათი, 29 ივნისი, 1906 წ. გაზეთის № 69

ბიუროკრატიას

პირის-პირ ვდგევართ, ჩვენო მტარვალო,
ჩამოგეხადა ნიღაბ-საფარი,
ან შენ, ან ჩვენა! უნდა გადასწყდეს,
აქ სხვა გზა-შველა შენთვის არ არი!

—

ნუ იმუქრები, ტუჩებს ნუ კუმავ,
ვერ შეგვაშინებ შენის ბრაზებით,
ვერც თვალს აგვიხვევ ფარისევლობით,
ორჭოფის ენით, ორჭოფის აზრით!

არა, გათავდა, გეთვლება დღენი,
გადაჰყე ღამის სიწყვდიადესა,
დაიგუგუნე, ჩვენო სიმღერავ,
ლელო და ბურთი ჩვენია დღესა!

ძმებო, წარსულის მსხვერპლთ კუბოები
შემოგვცქერიან და გვაძლევენ ხმას,
მაშ არ ვუმტყუნოთ მათთან წმინდა ფიცს,
დიდებულ საქმეს, დიდებულს აღთქმას!

აჰა, ღრუბლებით ცა იგრაგნება,
მალე იჭექებს, მაშ დავემზადოთ,
განთიადისკენ მამაცი მკლავით
გზა გავიტანოთ, გზა გავიკაფოთ!

დეე, ის ჩვენი მამულის შვილნი
კოხტად, ლამაზად გამოწყობილნი,
გულით სხვაგანა, სიტყვით კი ჩვენთან,
მშიშარა, ძხდალნი ხალხის „ძმობილნი“—

იმალებოდნენ დარბაზთა ბჭეში,
ჩვენ არც გვქონია მათი იმედი,
კვესი კაჟს დავკრათ და ჩვენის ხელით,
ჩამოვაკვესოთ ჩვენივე ბედი!

ნურც იმედი გაქვთ იმათი, ძმებო
„კეთილშობილი—და ძმა ხალხისა?!“
არა და არა, იმათ შეაკრთობთ
ტყვიის ზუზუნი, ხმა ზარბაზნისა!

ცეცხლისა წვიმა ჩვენზე წამოვა,
გავირუჟლებით წამლისა კომლში,
ერთხელ სჯობია გადასწყდეს ტანჯვა,
ვიდრე მარადის ვიხარშნეთ ოფლში!

—

პირისპირ ვდგევართ, ჩვენო მტარვალო,
ჩამოგეხადა ნიღაბ-საფარი,
ან ჩვენ, ან თქვენა! უნდა გადასწყდეს,
აქ სხვა გზა-შველა შენთვის არ არი!

ი. ევდოშვილი



ტფილისის ქუჩები 22 ივნისს 1906 წელს, 27-ის ჯარის კაცის გასამართლების გამო.

ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲐ

(ა. გლიკბერგისა.)

დე, ითარეშოს ძალმომრეობამ
და წინ აღუდგეს ჩვენს წმინდა ბრძოლას!
დე, თუნდაც გავწყდეთ—სხვები ხომ მოვლენ
და იკისრებენ მებრძოლთ გაძღოლას...
ჩვენს წმინდა საქმეს, მოვალეობას
მსხვერპლად შევსწირავთ კეთილ დღეობას...

—

ღრმა ძილში მყოფი კვლავ სდგება ხალხი,
კვლავ წაღმა ბრუნავს მის ბედის ჩარხი;
ვერ ეგუება ძველს ადათს, წესებს
და სადაც არის ცეცხლს დაკვესებს...
სჩანს, გავსებულა ტანჯვის ფიალა
და ბრძოლას ითხოვს ახალი ძალა ..

—

უსამართლობის ვინც არის მტერი,
ვისაც მონობის ჰბორკავს უღელი,
ვისაც სძაგს აწმყო, ეტრფის მომავალს—
ის განუცხადებს ბრძოლას წარმავალს!..
გრწამდეთ წმინდაა ეს ჩვენი რწმენა
და გამარჯვება შეგვრჩება ჩვენა.

ლ. ახობაძე.

ᲒᲐᲕᲨᲕᲘ

ოქტავ მირბოსი

(თარგმანი)

მატტო ასე ლაპარაკობდა:

—„აი, ბატონო პრეზიდენტო... თქვენ მოუსმინეთ ყველა ამათ, ჩემ კეთილ მეზობლებსა და ჩემ საყვარელ მეკობრებს... ესენი ამდენს ვერ ლაპარაკობდენ მაშინ, როცა მე ბულე-ბლანშს ვიყავი და ჩვენ შორის ჟონდარმი კი არ იყო, არამედ ჩემის თოფის პირი. მაგათ არ ვუყვარდი, რასაკვირველია, მაგრამ ფრთხილად იყვნენ ეს თავიანთი სიძულვილი გამოეცხადებინათ, რადგან იცოდნენ, რომ მატტოსთან ხუმრობა არ შეიძლება... ეხლა სხვა ამბავია... შეხედეთ, ვინ გამაკვირვა და ძალა უნებურად გამაცინა... მაგიუმ მოღრეცილმა მაგიუმ, რომელიც თქვენთან იმის სათქმელად მოვიდა, რომ მე კაცის მკვლელი და ქურდი ვარ, აი, რა!.. მაგიუმ, სწორედ მაგ მაგიუმ შარშან გრავუას ბაზრობაზე მოჰკლა დარაჯი დე-ბლანდე... უარს ნუ ამბობ, არამზადავ, მე შენთან ვიყავი... ლეეერმა, კუზიანმა ლეეერმა, რომელმაც ამ საათში ამდენი ფარისევლური რამ გითხრათ, ამ ლეეერმა ექვსის თვის წინად პანტოლონში გაჰქურდა ეკლესია... არა, ეგ იმდენს ურცხვობას ვერ გამოიჩენს, რომ უარი სთქვას ამაზე... ჩვენ ეს ერთად ჩავიდინეთ... ხომ მართალს ვამბობ, ლეეერ?...

თქვენ არ იცით, ბატონო პრეზიდენტო, ვინ მოუგრიხა კისერი მამა ჟაკინოს, როცა იგი საღამო ჟამს ფეილეს ტყის გზით შინ ბრუნდებოდა?.. თქვენ მაშინ მოელი ჯგუფი დაეპატიმრეთ სრულიად უდანაშაულო ადამიანთა და შეუდეგით ჩხრეკა-ძიებას... ამის მომქმედი კი გახლდათ სორელი, ის სორელი, რომელიც ამ წუთში ჩემს თავსა გთხოვდათ... მაშა!

სახელმწიფო სათათბიროს წევრნი:

ნაზარენკო
სათათბიროს დეპუტატი გლეხი.

კოკოშკინი

გრედესკული

დოლგორუკოვი
ვიცეპრეზიდენტი.

როდიჩევი

რა? შენ წინააღმდეგობას არ აცხადებ, ამხანაგო? ეს რათა იცით, იმიტომ, რომ არ შეუძლიან: იმ დროს, როცა ეგ ახრჩობდა მოხუცს, მე ჯიბეებს ვუქექავდი, ხე-ხე!..თქვენ გაკვირვებთ ესა? აბა შეხედეთ მაგათ! აი, ეგენი მეტს ველარ ამაყობენ, ეგ ჩემი ბიჭები, მეტად ველარ გულზვიადობენ, თრთიან, ფეთრდებიან და ფიქრობენ, რომ მატტოს თუ ბრალი დასდეს იმიტომ, რომ თავიდან მოეშორებინათ, ამით თავიანთი თავიც გასცეს და რომ ჩვენ ყველას ერთი და იგივე გილიოტინა წაგვაგდებინებს თავებსა...

ბატონო პრეზიდენტო, ყველაფერი, რაც მოგახსენეთ, სრული სიმართლეა... შეგიძლიათ მერწმუნოთ... ჩვენ, ბულე-ბლანშელები, ყველა ასეთები ვართ, და ეს ადვილად მისა-

სოციალისტი ჟ. ჟორესი.

საფრანგეთის პარლამენტის დეპუტატი

ხვედრიც არის!.. სოფლიდან ორ ლიეზე*) სრულიად არ არის მიწა, ერთი მხრით მხოლოდ უნაყოფო ჯაგნარი, მეორეს მხრით სიპი ქვა და ქვიშა. პაწაწინა, ჩამოფხავებული არყის ხე ზოგან, ან კიდევ პატარა ფიჭვუნა, რომელიც ხმება და არ იზრდება. ასე გასინჯეთ, კომბოსტოც-კი არ მოდის ჩვენს ბაღში... ეს მხარე წყეულია სწორედ... როგორ გნებავთ, რომ ამისთანა ქვეყანაში ცხოვრება შესძლოთ? საქველმოქმედო ბიუროთი, არა? თავი დაანებეთ!.. ასეთი ბიურო არავის არაფერს აძლევს და, თუ აძლევს, აძლევს მხოლოდ მდიდრებს... ამგვარად, რადგან ტყე ძალიან შორს არ არის, ისევ ტყის ქურდობას მიჰმართვენ ხოლმე... ხან და ხან ეს ცოტა რამ შემოსავალს იძლევა, მაგრამ ზოგჯერ მკვდარი სეზონი დადგება და ვაი მაშინ ჩვენი ბრალი, კიდეც რომ არაფრად ჩავაგდოთ ტყის მცველები, რომელნიც ჩვენ გვდარაჯობენ, ათასი საჩივარი, დავიდარაბა და ბოლოს საპატიმრო... ღმერთო ჩემო, საპატიმროს კიდევ რა უშავს, იქ საჭმელს მაინც გვაჭმევენ და შეგვიძლია ახალი მახე დავამზადოთ თავისუფლების მოლოდინში... მე თქვენ გკითხავთ, ბატონო პრეზიდენტო, რას იზამდით, ჩვენს ადგილას რომ იყოთ? სამუშაოზე ვიაროთ? წავიდეთ და ფერმერად დავდგეთ? მერე რომ გაიგებენ, რომ ჩვენ ბულე-ბლანშიდანა ვართ, ეს ხომ ის იქნება, თითქო ჩვენ ჯოჯოხეთიდან მოვლენილნი ვიყვნეთ... სულ ვაი-უით გამოგვრეკენ... მერე უნდა ვიქურდოთ. ვიქურდოთ იმისთვის, რომ ცხოვრება გვინდა!.. და როცა ქურდობას გადასწყვეტ, მკვლელობაც უნდა გადასწყვიტო, ერთი უმეოროდ ვერ იშობების... ეს სიმართლეა! თუ მე ყველაფერს გეუბნებით თქვენ, ეს იმიტომ, რომ იცოდეთ, თუ რა არის ბულე-ბლანში, და რომ უმთავრესი ბრალი ამისა მთავრობას ედება, მთავრობას, რომელსაც არასოდეს ჩვენი დარდი არა ჰქონია და რომელიც ცხოვრების გარედ ისე გაგვტყორცნიდა ხოლმე, როგორც ბრაზიან და ქეციან ძაღლსა.

ეხლა გადავდივარ საქმეზე.

ამ ერთის წლის წინად ცოლი შევირთე. ჩემი ცოლი პირველ თვესვე ფეხ მძიმედ შეიქმნა. ვიფიქრე: ბავშვი უნდა ვარჩინოთ, როცა ჩვენი თავიც ვერ გვისაზროებია, ეს ხომ სისულელეა მეთქი. „უნდა თავი ვიხსნათ როგორმე ამისგან“ მეთქი, ვუთხარი ჩემ ცოლს. სწორედ ჩვენ პირდაპირ იდგა ერთი მაწანწალა ბებრუხუნა, რომელმაც ამგვარი რამეები იცოდა. ამ დედაკაცს მივეცი ერთი კურდღელი თავის ორის ბაჭიათი, სამაგიეროდ ბებერმა ჩემს ცოლს რაღაც ბალახი და ფქვილი მოუტანა და ამისგან რაღაც წამალი შეამზადა... მაგრამ ამან ვერაფერი გაარიგა, სრულიად ვერაფერი... ოცჯერ მეტად მაინც ვსინჯეთ! არაფერი გამოდნა, მუცელი ვერ მოუშალა ჩემ ცოლს. ბებერმა გვითხრა, ნუ გეშინიანთ, ბავშვი უთუოდ მკვდარიაო, გარწმუნებთ, მკვდარი დაიბადებაო. რადგანაც ჯადოქრობაში საკმაოდ სახელგანთქმული იყო ეს ბებრუხანა, დიდ შეწუხებას აღარ მივეც თავი და გული იმით დავიიმედე, რომ „ბავშვი მკვდარი დაიბადებოდა“. მაგრამ ქურდმა ბებრუხუნამ იცრუა და ამას ეხლავე გაიგებთ.

ერთ მთვარიან ღამეში შველი მოვკალი. მოვიდე ზურგზე და გახარებული წავედი შინისაკენ, რადგან შველს ყოველ ღამე ვერ მოჰკლავ. დაახლოვებით ღამის სამი საათი იქნებოდა, რომ მივედი... ფანჯრიდან სინათლე მოსჩანდა. გამიკვირდა ესა. დავარაკუნე კარებზე, რომელიც მუდამ შიგნიდან იკეტებოდა ხოლმე, როცა მე სადმე მოვდიოდი, დავარაკუნე კიდევ, კარს არავინ მიღებდა. კიდევ უფრო ღონივრად დავარახუნე. მაშინ მომესმა ჩუმი კვნესა, ყვედრება, შემდეგ ფეხის ტყაპა-ტყუპი მიწის იატაკზე... და რა ვნახე... ჩემი ცოლი ნახევრად შიშველი, მკვდარივით გადაფითრებული, სისხლით იყო მოსვრილი! ჯერ მეგონა, მოსაკლავად მიხტომიან მეთქი, მაგრამ ცოლმა მითხრა: ნუ ღრიალებ მაგრე, შე არამზადავ, ვერა ხედავ, რომ მშობიარე ვარო? ღვთის რისხვა იყო ესა!.. თუმცა ეს ყოველ დღე მოსალოდნელი იყო. შევე, შველი კუთხეში მივაგდე და თოფი ლურსმანზე ჩამოვკიდე

რადიკალი კლემანსო.

საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრი.

— მკვდარი დაიბადა მაინცა? ვკითხე ჩემ ცოლს.

— დიახ, მკვდარი... დაჰხედე!..

---

*) ლიე ფრანგული ზომაა, თითქმის ჩვენებურ სამ ვერსტს უდრის. ამ ზომას წინად ხმარობდნენ საფრანგეთში. მთარგმნელი

და დავინახე ლოგინზე, გასისხლიანებულ ძონძებ შორის, რაღაც შიშველი, რომელიც იკლაკნებოდა... გადავხედე ჩემ ცოლს, იმანაც გადმომხედა და ხუთის წუთის განმავლობაში ხმა არ ამოუღია.

მაგრამ საჭირო იყო საქმეს შევდგომოდით...

— ყვიროდა ბავშვი შობის დროს? ვკითხე ცოლს.

— არა.

— ხომ არ გაგიგონია, რომ ვინმე დადიოდა ჩვენი სახლის ახლო?

— არა.

— სანთელი რატომ გენთო?

— მხოლოდ ორის წუთის ადრე ავანთე, ვიდრე შენ კარებს დააკაკუნებდი.

— ეს კარგია... ამ სიტყვასთან ბავშვს ფეხებში წავავლე ხელი და მსწრაფლად, როგორც ამას კურდღლის ბაჭიას უშვრებიან ხოლმე, ძლიერად დავარტყი თავში. მერე ტომარაში ჩავაგდე და თოფს წავავლე ხელი...

როგორც გნებავთ, გინდ დამიჯერეთ, გინდ არა, ბატონო პრეზიდენტო, მაგრამ აქამომდე არ ვიცი—ვაჟი იყო თუ ქალი ეს ბავშვი...

მიდით „დიდი ქვის“ შადრევანთან... irgvliv მხოლოდ წვრილი ჯაგნარია, სხვა არაფერი არ იზრდება სიპ ქვათა და ქვიშათა შორის... არც ხე, არც სახლი სადმე ახლოს, არც ამ ადგილის დასამხრობად რაიმე გზა!.. ცოცხალ არსებათაგან ათასში ერთხელ თუ ნახავ ამ ადგილის მახლობლად გამვლელ ცხვარსა და მწყემსს, ისიც, ვიმეორებ, ათასში ერთხელ, როცა ბარად ბალახი აღარ არის. შადრევანთან არის ქვის სამტვრევი, ღრმა და უკვე მთელის საუკუნის განმავლობაში მივიწყებული.

ნაძვნარი ჰფარავს ამ ორმოს ზედა პირს... აი, აქ ვინახავდი ხოლმე ჩემს თოფს, როცა შევიტყობდი ჟანდარმები უნდა გვსტუმრებოდნენ. ვინ გაჰბედავს, თავი გადასდოს და ამ მივარდნილ ადგილს მივიდეს, როცა ბევრი იმ აზრის არის, რომ იქ მოჩვენებანი დადიან?

საშიში რა არის... აი, ამ ორმოში ჩავაგდე ბავშვი, გავიგონე როგორ დაეცა ძირს... ტყაპანი მოადინა.

მკრთალი დღე ილვიძებდა მთებს იქით...

ბულე-ბლანშისკენ რომ ვბრუნდებოდი, გზაზე, ღობეზე რაღაც ნაცრისფერი ნაქვთი დავინახე, თითქო ადამიანის ზურგსა ჰგავდა, ან და მგელს. მიუხედავად იმისა, რომ დაჩვეულნი ვართ, ბნელაში ყოველთვის ვერ გაარჩევ. ეს ნაქვთი ნელა მოძრაობდა, ძირს იხრებოდა, ცოცავდა, შეჩერდებოდა.

— ჰეი!—შევსძახე ძლიერის ხმით,—თუ ადამიანი ხარ, გამოჩნდი, თორემ გესვრი...

— ეს შენა ხარ, მატტო? მიპასუხა ვიღაცამ და უცებ გასწორდა.

— ჰო, ეს მე ვარ, მაგიუ, და კარგად გახსოვდეს, რომ ჩემს თოფში ყოველთვის არის მსხვილი საფანტი იმათთვის, ვინც მეტის-მეტად ცნობის მოყვარეობას იჩენს.

— არა, ცუდი არაფერი იფიქრო, მე მხოლოდ ჩემს მახეებს ვხსნიდი. მაგრამ მითხარი: მარტო შველი ბღავის, როცა ჰკლავენ?

— არა! არიან ისეთი ფლიდებიც, როგორც შენა, საზიზღარო ბრუტიანო, ამ სიტყვასთან ჩავავლე მხრებში ხელი, ერთი ლაზათიანად შევანჯღრიე, მაგრამ არ ვიცი, რატომ თოფი არ დავახალე... ცუდათ მოვიქეცი. მეორე დღეს მაგიუ ჟანდარმიან წავიდა. ახლა, ბატონო პრეზიდენტო, კარგად დამიგდეთ ყური...

სოფელ ბულე-ბლანბში ოცდა ათი კერაა, ე. ი. სცხოვრობს ოცდა ათი დედაკაცი და ოცდა ათი მამაკაცი... გამოგიანგარიშნიათ თუ არა ამ ოცდა ათ ოჯახში რამდენია ცოცხალი ბავში?... სულ სამია... სხვები დამხჩვალნი, გასრესილნი, დამარხულნი, მკვდარნი არიან. დაგითვლიათ ესენი?

გასწი-გადმოსწიეთ ქვები. ქარზე გაანიავეთ ქვის სამტვრევთან დაყრილი სილა და ჩამოკვხევებულ ნაძვისა და არყის ხეების ძირას მიწაში დამარხულს უფრო მეტსა ნახავთ ახლათ დაბადებულთა ძვლებს, ვიდრე დიდების ძვლებს სადმე დიდის ქალაქის სასაფლაოზე... ჩამოიარეთ ყველა სახლები და ჰკითხეთ ყოველ მამაკაცს, მოხუცსა და ახალგაზრდას, რა უყვეს ბავშვებს, რომელნიც იმათ თავიანთ ცოლებმა გაუჩინეს!.. ჰკითხეთ მაგიუს, ლეჟარს, სორელსა და ყველას, სუყველას!.. ასეა ეს! მაგიუ, ხომ ხედავ, რომ მარტო შვლები ჰბღავიან, როდესაც ჰკლავენ იმათ“...

განდეგილი

საპოლიტიკო და სალიტერატურო ყოველ დღიური გაზეთი

„შ რ ო მ ა“

სურათებიანის დამატებით პირველ ივლისიდან წლის დამლევამდე ღირს 4 მანეთად.

ელექტრონის სტამბა წიგ. გამოც. ქართ. ამხ—სა. ვანქის დიდი ქუჩა—ტელეფონი № 37.